ხელშეკრულება № 85

ქ.ქუთაისი 15 მაისი 2019 წელი

ერთი მხრივ **სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“** (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის ანა ცუცქირიძის სახით და მეორე მხრივ **შპს „ორგსერვისი“ წარმოდგენილი ხვიჩა ნემსაძის** (შემდგომში მიმწოდებელი) სახით გამართივებული შესყიდვების საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-101 მუხლის მე-3-ე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

საკანცელარიო ნივთები **(cpv 44812000 - სამხატვრო საღებავები, 30192125 - მარკერები, 30192130 - ფანქრები, 39292500 - სახაზავები)** (შემდგომში-საქონელი) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **134.65 ლარს**. დაფინანსების წყარო: **საკუთარი სახსრები.**

2.2 საქონლის ჩამონათვალი მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც თან ახლავს ხელშეკრულებას.

3.ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგსდასახადო სასაქონლო ზედნადების/ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4.მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ შემსყიდველი ორგანიზაციის დირექტორის 2016 წლის 7 სექტემბრის №221 ბრძანებით შექმნილი კომისია (თამარ დვალი, ბერიკა უშვერიძე, დავით დათუაშვილი, რუსუდან ხაბულიანი).

4.2. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2019 წლის 21 მაისის ჩათვლით.

6.მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებილი საქონლის ღირეულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსტხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადებში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2. პუნქტში.

7.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირბების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ველდებულებების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეათანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება არ უნდა

უარესდებოდეს ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადახედვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.
8.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
8.5 მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტისთ გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განსაზღვრის შემდეგ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებიტ შეატყობინოს მეორე მხარეს.
8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
8.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი ძალის მქონე ეგზამპლიარად, რომელთაგანაც თითოეული გადაეცემა მხარეებს.

9.დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პირობებში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11.ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“
მის: ქ.ქუთაისი ნიკეას №12
საიდენტიფიკაციო კოდი:212682051
სახელმწიფო ხაზინა
ბანკის კოდი:TRESGE22
ხაზინის კოდი: 709137509

_____

ანა ცუცქირიძე

მიმწოდებელი:

შპს „ორგერვისი“
მის: ქ.ქუთაისი ჭავჭავაძის 51/2ა
საიდენტიფიკაციო კოდი: 212693851
„პროკრედიტ ბანკი“
ბანკის კოდი: MIBGEGE22
ა/ნ: GE28PC 0133 6001 0006 7722

_____

ხვიჩა ნემსაძე

	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ჯამი	CPV
	საღებავი აკრილის koh-i-noor 500მლ. dark yellow 0210 0162721051LP	ცალი	1	31.4	31.4	44812000
	საღებავი აკრილის koh-i-noor 500მლ. Dark-Red 0162731051LP	ცალი	1	37.3	37.3	44812000
	საღებავი აკრილის koh-i-noor 500მლ. White 0100 0162710051LP	ცალი	1	34.8	34.8	44812000
	მარკერი დაფის Staedtler Lumocolor Black 351-9	ცალი	4	2.4	9.6	30192125
	მარკერი დაფის Staedtler Lumocolor Blue 351-3	ცალი	4	2.4	9.6	30192125
	სახაზავების ნაკრები პატარა 13სმ./9სმ. 075095000000	ცალი	1	4.95	4.95	39292500
	ფანქარი უბრალო Koh-i-noor 1372002012KS MIX	ცალი	14	0.5	7	30192130
					134.65	

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯი „იბერია“ შპს „ორგსერვისი“

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. ქუთაისი 15 მაისი 2019 წელი

„სახემწიფო შესყიდვების შესახებ„ საქართველოს კანონის მე-8-ე მუხლის შესაბამისად, ხელმოწერილით ვადასტურებთ, რომ **შპს „ორგსერვისის“** შესყიდვების განხორციელებაში მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილე პირები:

სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი: /ა.ცუცქირიძე/

შესყიდვების სპეციალისტი: /გ.ფახურიძე/